# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება №01-09-10/47

ქ. თბილისი 02 03 2020 წ.

„პროფესიული სტუდენტთა სასწავლო განრიგის შესახებ“ სტუ-ის 2018 წლის 27 ნოემბრის №01-09-10/281 ბრძანების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანებისა და სტუ-ის რექტორატის 2020 წლის 01 მარტის სხდომის გადაწყვეტილების (ოქმი №1) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო განრიგის სტუ-ის 2018 წლის 27 ნოემბრის №01-09-10/281 ბრძანებაში (შემდგომში ბრძანება) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:
   ა) ბრძანებას დაემატოს $1^1$ შემდეგი რედაქციით:
   „$1^1$. 2020 წლის 02 მარტიდან შეჩერდეს სასწავლო პროცესი და განახლდეს 16 მარტს.“
   ბ) შეიცვალოს ბრძანების მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „2. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი წარიმართოს ამ ბრძანების დანართების შესაბამისად (იხ. დანართები)“.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელს).
3. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი დავით გურგენიძე